ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რიგითი

სხდომის ოქმი N 11

ქ. ვანი, თავისუფლების ქ. N65 **09.10 .2024 წელი**

ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომას თავმჯდომარეობდა საკრებულოს თავმჯდომარე - **ალექსანდრე ლილუაშვილი.**

სხდომას ესწრებოდა საკრებულოს წევრი: ალექსანდრე ლილუაშვილი, გიორგი ივანიაძე, შოთა გიორგაძე, გელა ვარდოსანიძე, ვლადიმერ ჭვალაძე, რამაზ არველაძე, კობა ტოხვაძე, გელა ჩიკვაიძე, ლია დიასამიძე, სანდრო ხურციძე, ლანა გოგოძე, ილია დვალიშვილი, გიორგი ტყეშელაშვილი, ივანე კორძაძე, შალვა ლორთქიფანიძე, თეონა ადეიშვილი, ეთერი ჭიჭინაძე, თამარ შენგელია.

სხდომას საპატიო მიზეზით არ ესწრებოდნენ საკრებულოს წევრები: დავით ხარძეიშვილი, გელა ღვიტიძე, ბიჭიკო პაიკიძე, მაკა ზარნაძე, მალხაზ ცერცვაძე, კობა ძაგნიძე.

(დანართი: N1)

,,ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ წევრები (გრიგოლ მატარაძე, ალექსანდრე მჟავანაძე, თორნიკე ერისთავი, დავით კაკაბაძე, ლიზა ტყეშელაშვილი და ნატო დვალი) ბოიკოტს უცხადებენ საკრებულოს მუშაობას და არ ესწრებიან საკრებულო სხდომას.

სხდომას ასევე ესწრებოდნენ:

საკრებულოს აპარატის უფროსი-**ტარიელ ბარამიძე.**

საკრებულოს აპარატის იურიდიულ და საორგანიზაციო საკითხთა განყოფილების უფროსი **- ლუიზა ჯოგლიძე.**

საკრებულოს აპარატის იურიდიულ და საორგანიზაციო საკითხთა განყოფილების უფროსის მოადგილე საორგანიზაციო საკითხებში - **ლუბა გოგოძე.**

მოწვეული სტუმრები:

ვანის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა სამსახურის უფროსი **-მიხეილ სვანაძე.**

სხდომის თავმჯდომარე ალექსანდრე ლილუაშვილი საკრებულოს ღია სხდომას 15 [00] საათზე გახსნილად აცხადებს .

სხდომის თავმჯდომარემ სხდომას გააცნო დღის წესრიგის პროექტი:

დღის წესრიგი

1.ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრების, გარდა საკრებულოს პოლიტიკური თანამდებობის პირებისა, უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურების შესახებ.

მომხს: გელა ჩიკვაიძე

2. „ვანის მუნიციპალიტეტის 2024 წლის სოციალური პროგრამების დამტკიცების შესახებ“ ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 22 დეკემბრის N 30 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“

მომხს. მიხეილ სვანაძე

წარმოდგენილი დღის წესრიგის პროექტისადმი შენიშვნები არ გამოთქმულა. ჩატარდა ღია კენჭისყრა:

მომხრე - 18

წინააღმდეგი - არცერთი

დაადგინეს: დღის წესრიგი მიღებულ იქნა წარმოდგენილი სახით.

მოისმინეს:

დღის წესრიგით გათვალისწინებულ პირველ საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა გელა ჩიკვაიძემ წარმოადგინა განკარგულების პროექტი ,, ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრების, გარდა საკრებულოს პოლიტიკური თანამდებობის პირებისა, უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურების შესახებ“

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 29 დეკემბრის N27 დადგენილების შესაბამისად და ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის უფროსის 2024 წლის 01 ოქტომბრის N65-65242753 მოხსენებითი ბარათის საფუძველზე ვანის მუნიციპალიტეტის

საკრებულოს წევრ არათანამდებობის პირებს ხარჯების ანაზღაურებისთვის ჩაერიცხოთ თითოეულს 817 (რვაასჩვიდმეტი) ლარი, რაც ჯამში შეადგენს 8170 (რვაათასასსამოცდაათ) ლარს.

წარმოდგენილი პროექტის მიმართ შენიშვნები არ გამოთქმულა. სხდომის თავმჯდომარემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს:

მომხრე – 18

წინააღმდეგი – არცერთი.

გადაწყვიტეს: დამტკიცდეს განკარგულების პროექტი ,, ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრების, გარდა საკრებულოს პოლიტიკური თანამდებობის პირებისა, უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურების შესახებ;

განკარგულება N გ-65.6524283001

მოისმინეს:

დღის წესრიგით გათვალისწინებულ მეორე საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა მიხეილ სვანაძემ წარმოადგინა „ვანის მუნიციპალიტეტის 2024 წლის სოციალური პროგრამების დამტკიცების შესახებ“ ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 22 დეკემბრის N 30 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ შევიდა დადგენილებაში ცვილილება. კერძოდ: დადგენილების მე-5 მუხლით დამტკიცებული „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა დახმარების პროგრამის“ (დანართი N 5) მე-5 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

გ) შშმ ბავშვთა დღის ცენტრს „ნათელი მომავალი“ - ყოველთვიურად 1000 (ათასი) ლარი;

წარმოდგენილი პროექტის მიმართ შენიშვნები არ გამოთქმულა. სხდომის თავმჯდომარემ კენჭი უყარა დადგენილების პროექტს:

მომხრე – 18

წინააღმდეგი – არცერთი.

გადაწყვიტეს: დამტკიცდეს დადგენილების პროექტი „ვანის მუნიციპალიტეტის 2024 წლის სოციალური პროგრამების დამტკიცების შესახებ“ ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 22 დეკემბრის N 30 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“

დადგენილება N 6

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვის შემდეგ საკრებულოს რიგითმა სხდომამ მუშაობა დაამთავრა.